კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ფსიქოლოგია** **Psychology**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**ფსიქოლოგიის დოქტორი** **PhD in Psychology**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	60 ECTS 3-5 წელი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავდა 2011 წელს და განახლდა 2021 წელს. პროგრამის განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი; თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის მიმართულებით. თუ აპლიკანტს არ აქვს აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში, მან, დამატებით, უნდა ჩააბაროს წერითი გამოცდა ფსიქოლოგიის ძირითადი ცნებების, მიმდინარეობების, მიმართულებების, თეორიების ცოდნასა და ღრმა გააზრებაზე;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურების მიზნით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (მინიმუმ B2 დონის შესაბამისი) ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი*;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა კვლევითი განაცხადის საკითხებზე.

*უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.iliauni.edu.ge.

სადოქტორო პროგრამის დახასიათება/კონცეფცია

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია დოქტორანტების ჩართვაზე ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე ცოდნის შექმნასა და განვითარებაში. ამგვარი ცოდნის შექმნა და განვითარება რამდენიმე პრინციპით ხელმძღვანელობს:

1. ახალი ცოდნა უნდა აკმაყოფილებდეს კვლევის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და სტანდარტებს, რაც ითვალისწინებს ცოდნის არსებული საზღვრების გაფართოებას და, შესაბამისად, დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას. ამ მიზნით, კვლევის ვალიდაცია უნდა მოხდეს საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციით;
2. კვლევები პასუხობს თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებს, სიღრმისეულად სწავლობს არსებულ სირთულეებსა და პრობლემებს. მათ შორის, მათი მიგნებები შეიძლება ეხმარებოდეს გადაწყვეტილების მიმღებებს, შესაბამისი სფეროს პოლიტიკის შემმუშავებლებს პრობლემების გადაჭრაში და, ზოგადად, საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში;

3. ახალი ცოდნა უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკის ნორმებს, რისთვისაც ვეყრდნობით ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ შემუშავებულ ეთიკის კოდექსს, საქართველოს კანონს პირადი მონაცემების დაცვის შესახებ და საქართველოს საზოგადოებრივი აზრის და ბაზრის კვლევის ასოციაციის პროფესიული ეთიკისა და ქცევის კოდექსს (ხელი მოეწერა 2020 წლის 9 ოქტომბერს). შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი კვლევისას გათვალისწინებულია ეთიკის დაცვის შესაბამისი მექანიზმების გამოყენება.

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ეფუძნება ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მრავალწლიან ტრადიციებს და იყენებს კვლევისა და სწავლების თანამედროვე თეორიებსა და მეთოდებს, რითიც, მას, თავის მხრივ, წვლილი შეაქვს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განვითარებაში. პროგრამის ბაზას წარმოადგენს დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომლის სივრცე და გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დოქტორანტებისთვის კვლევითი გარემოს შექმნაში, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა ინსტიტუტის ბაზაზე მიმდინარე პროექტებში, ღონისძიებებში, ინსტიტუტის რეგულარულ შეხვედრებზე წარადგინონ საკუთარი კვლევა და მიიღონ კვალიფიციური უკუკავშირი. კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით სადოქტორო პროგრამა მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტთან, რომელიც ახორციელებას სხვადასხვა ტიპის კლინიკურ/ფსიქოსოციალური სერვისებს და მოცემულ სფეროსთან დაკავშირებულ კვლევებს.

პროგრამის კვლევის არეალს წარმოადგენს ისეთი მიმართულებები, როგორიც არის: სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია.
სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ მიმდინარე კვლევით პროექტებში. როგორებიცაა:

- პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების თავისებურებების შესწავლა;
- უმცირესობებისადმი დამოკიდებულების, წინარწმენის პრედიქტორები;
- გენდერის ფსიქოლოგია, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- სამუშაო სტრესი, ემპათია, როგორც პროფესიული გადაწვის და სამსახურიდან წასვლის განზრახვის პრედიქტორები;
- ემოციური შრომა, ემოციური ინტელექტი, როგორც პროფესიული გადაწვის პრედიქტორები;
- საზომი ინსტრუმენტების ვალიდაცია;
- აუტიზმი და აუტიზმის სპექტრის დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკა და აბილიტაცია;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის ინტერვენციის სხვადასხვა მოდელის ეფექტურობის შეფასება
- ემოციების აღქმა და ემოციური ხელმისაწვდომობა მშობლებში: აუტისტური მახასიათებლები როგორც მედიატორი ცვლადი
- კავშირი აღზრდის სტილს, აღმასრულებელ ფუნქციასა და ემოციურ რეგულაციას შორის მშობლისა და ბავშვის შემთხვევაში
- პანდემიით გამოწვეული სიტუაციის ფსიქოლოგიური შედეგები ზრდასრულებთან და ბავშვებთან;
- აღმასრულებელი ფუნქციებისა და ძილის ეეგ მაჩვენებლების განვითარების ტრაექტორიები ტიპიურად განვითარებად და ADHD-ის მქონე ბავშვებში - ტვინის მომწიფების პროცესთან მიმართება;
- ენის ათვისება ქართულენოვან ბავშვებში;
- ემოციების აღქმა და ემოციური ხელმისაწვდომობა მშობლებში: აუტისტური მახასიათებლები როგორც მედიატორი ცვლადი;
- გონების თეორიის განვითარება აუტიზმის სპექტრის დარღვევის დროს და ჩარევის მოდელების ეფექტურობის შედარებითი ანალიზი;
- დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არაა, სტუდენტებთან შეთანხმებით, შესაძლოა, დაემატოს ან მოაკლდეს თემები.
ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია, საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნას კვლევის ინოვაციური გარემო ფსიქოლოგიურ კვლევებში

საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციების, სალექციო კურსებისა და სემინარების საშუალებით.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით (კალიფორნიის ლოს ანჟელესის უნივერსიტეტი, მაიამის უნივერსიტეტი, რატგერსის უნივერსიტეტი, ლიმერიკის უნივერსიტეტი, პარიზის დიდროს უნივერსიტეტი და გლაზგოს უნივერსიტეტი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი).

სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორები თანამშრომლობენ უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გაუწევენ კონსულტაციებს დოქტორანტ სტუდენტებს:

- პროფესორი სეტ შვარცი, ტეხასის უნივერსიტეტი, აშშ - მისი კვლევის სფეროა იდენტობის ფორმირება, იმიგრანტებისადმი დამოკიდებულება;
- პროფესორი ანკიჩა კოშიჩი, რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი, იტალია - მისი კვლევის სფეროა სტრეოტიების შინაარსები და სოციალური იერარქიის თეორიები;
- პროფესორი ქეთევან ჭანტურია, ლონდონის კინგს კოლეჯი - მისი კვლევის სფეროა კვებითი დარღვევები;
- ასოცირებული პროფესორი ანკა მინესკუ, ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია - მისი კვლევის სფეროა უმცირესობებისადმი დამოკიდებულება და წინარწმენა;
- ასოცირებული პროფესორი ბარბარა ლასტიჩკოვა, ბრატისლავის უნივერსიტეტი, სლოვაკეთი - მისი კვლევის სფეროა უმცირესობებისადმი დამოკიდებულება და წინარწმენა;
- პროფესორი ტრევორ სტოუკი, ჯეიმს მედისონის უნივერსიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატები - მისი კვლევის სფეროა ქცევის გამოყენებითი ანალიზის გამოყენების პერსპექტივები სხვადასხვა კლინიკური მდგომარეობებისა და ასაკობრივი ჯგუფების შემთხვევაში;
- ასოცირებული პროფესორი მერიენ ჯექსონი, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფრესნო, ამერიკის შეერთებული შტატები - მისი კვლევის სფეროა ფსიქიკური განვითარების დარღვევები.

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტს აძლევს უცხოელი თანახელმძღვანელის ყოლისა და ორმაგი ხარისხის მოპოვების შესაძლებლობას კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

პროგრამის მიზნები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მკვლევრების ახალი თაობა, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით, კომპეტენციებით, მათ შორის ანალიტიკური უნარებით და შეძლებენ დამოუკიდებლად განხორციელებული ორიგინალური კვლევის საფუძველზე ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) შექმნან ახალი ცოდნა და ამით წვლილი შეიტანონ ცოდნის არსებული საზღვრების გაფართოებასა და, სადაც რელევანტურია, პრაქტიკის განვითარებაში; კვლევის საფუძველზე მიღებულ შედეგებს/მიგნებებს გაუზიარებენ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას როგორც სამუშაო შეხვედრების, პრეზენტაციების, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაცის გზით; მომზადებულები იქნებიან წარმატებული კარიერისთვის, როგორც აკადემიურ, ისე საჯარო, არასამთავრობო ან კერძო სექტორებში. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა ქმნის პლატფორმას ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევრებთან დიალოგში დოქტორანტების ჩართვისა და მათი დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

1. ამჟღავნებს ცოდნას ფსიქოლოგიის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულებით (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია), რომელიც მოიცავს შესაბამის თეორიებს/თეორიულ ჩარჩოს (სადაც რელევანტურია, პრაქტიკას) უახლეს დებატებს;
2. იცნობს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიასა და მონაცემების ანალიზის ტექნიკებს;
3. შეუძლია ფსიქოლოგიის ერთ-ერთი კვლევითი მიმართულების (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია,) ფარგლებში, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება და, სადაც რელევანტურია, მისი გამოყენება არსებული პრაქტიკის განვითარებისთვის;
4. იცავს ეთიკის პრინციპებს კვლევისას და, სადაც რელევანტურია, პრაქტიკაში. მათ შორის, მოქმედებს განსხვავებულობისა და ინკლუზიურობის ღირებულებებზე დაყრდნობით კვლევის დაგეგვმისა და განხორციელებისას;
5. ახალი ცოდნის გაზიარების მიზნით, შეუძლია თემატურ დისკუსიებში მონაწილეობა, კვლევის შედეგების საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაში ასახვა;
6. შეუძლია ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები

- ლექცია
- სემინარი
- პრაქტიკული მუშაობა
- ელექტრონული სწავლების ელემენტები
- დემონსტრირება/პრეზენტაცია
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დისკუსია/დებატები;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია და რეფლექსია;
- და სხვა.

შენიშვნა: პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

პროგრამის სტრუქტურა

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს 60 კრედიტს. მათ შორის სავალდებულო - 39 კრედიტი, სავალდებულო-არჩევითი კომპონენტი - 3 კრედიტი და არჩევითი - 18 კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი იღებს კურსებს თავისი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. დეტალური ინფორმაცია კომპონენტებისა და კრედიტების განაწილების შესახებ მოცემულია ქვემოთ.

კომპონენტები	სემესტრები	ECTS

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კომპონენტები - 39 კრედიტი											
სადოქტორო სემინარი 1											**6**
სადოქტორო სემინარი 2											**6**
კვლევის ეთიკა											**3**
კვლევის მოდელის შემუშავება											**3**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში											**6**
ასისტირება*											**15**
სადოქტორო კოლოქვიუმები											--
სადისერტაციო ნაშრომი**											-
სავალდებულო-არჩევითი კომპონენტი - 3 კრედიტი* **											
ექსპერიმენტული კვლევა											**3**
კორელაციური კვლევა											**3**
თვისებრივი კვლევა											**3**
არჩევითი კომპონენტები - 18 კრედიტი											
ასისტირება											**3**
Writing for Academic Publication****											**6**
ექსპერიმენტული კვლევა											**3**
კორელაციური კვლევა											**3**
თვისებრივი კვლევა											**3**
სტატისტიკური მოდელირება											**6**
თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება NVivo-ში											**6**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი											**6**

* სწავლების ასისტირების წინაპირობაა „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში"; კვლევის ასისტირების წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა;
**სადისერტაციო ნაშრომის წარდგინება დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტის, მათ შორის, კოლოკვიუმის შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.
***სავალდებულო-არჩევითი კომპონენტიდან დოქტორანტი იღებს რომელიმე ერთ კურსს თავისი კვლევის დიზაინიდან გამომდინარე.
****Writing for Academic Publication დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი

სადოქტორო სემინარების ფარგლებში, პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ კვლევის მონახაზზე. კურსის განმავლობაში დოქტორანტები:

- იხილავენ თავისი სფეროს შესაბამის ლიტერატურას, კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- არკვევენ, როგორ, რომელი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით იქმნება ცოდნა მათ სფეროში;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდს;
- ადგენენ კვლევის გეგმას.

კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვის მექანიზმი კვლევის ეთიკის დაცვის მიზნით, სანამ მონაცემების შეგროვებას დაიწყებს, დოქტორანტი სტუდენტი, უნივერსიტეტის ეთიკის კომისიისათვის განსახილველად ამზადებს განაცხადს, რომელშიც აღწერილია კვლევის არსი, პროცედურა და

თანდართულია ინსტრუმენტი (კითხვარი), რომლის გამოყენებასაც გეგმავს. მონაცემების შეგროვებას სტუდენტი იწყებს მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ. შესაძლებელია, ამ პროცესში მას მოუწიოს მასალების დამატება, ან ცვლილებების შეტანა პროცედურაში თუ ინსტრუმენტებში. უარის მიღების შემთხვევაში კი, მან არსებითად უნდა შეცვალოს პროცედურა და/ან ინსტრუმენტები.

ასისტირება არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია სწავლების და კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს ან/და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან სტუდენტებს უწევს ტუტორობას. კურსების შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის, სხვა პროფესორების მიერ ერთობლივად. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტს შეიძლება მიეცეს შესაძლებლობა, ჩაერთოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევით პროცესებში და ამ მიზნით განახორციელოს ისეთი აქტივობები, როგორც არის ლიტერატურის მოძიება, კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებაში მონაწილეობა, შედეგების შეგროვება და ანალიზი და ა.შ.

სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა **საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნება.** კერძოდ, დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება შესაბამის სფეროში მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მის შედეგზე ორიენტირებულობას. მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სამი კოლოკვიუმი. სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დოქტორანტი ამზადებს ანგარიშს კვლევის მოცემული ეტაპისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ და წარადგენს დარგობრივი კომისიის, პროფესორების და სტუდენტების წინაშე. სადოქტორო კოლოკვიუმი შეიძლება ჩატარდეს მომიჯნავე დარგების დოქტორანტების და მათი ხელმძღვანელების/თანახელმძღვანელების მონაწილეობით. კოლოკვიუმები ემსახურება თანმიმდევრული უკუკავშირის მიღებას კვლევის პროცესში.

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადისერტაციო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციის დოკუმენტში (იხ. სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია).

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულებს დასაქმება შეეძლებათ შესაბამისი პროფილის როგორც აკადემიურ, ასევე საჯარო, არასამთავრობო და კერძო დაწესებულებებში:

- საგანმანათლებლო, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
- საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევითი პროექტები;
- ბიზნეს ორგანიზაციები.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქო-ფიზიოლოგიური სამეცნიერო კვლევითი ცენტრი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/centrebi-588/studenturi-fsiqo-fiziologiuri-kvleviti-centri;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/dimitri-uznadzis-fsiqologiis-instituti-880/dimitri-uznadzis-fsiqologiis-instituti.page;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი - https://cdi.iliauni.edu.ge/

- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/
- მონაცემთა დამუშავების კომპიუტერული პროგრამები - SPSS, MPlus, Nvivo.
- სააუდიტორო/სამუშაო სივრცეები;
- კომპიუტერული ლაბორატორია;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- არგუსი, E-learning და Turnitin-ის სისტემები.
- ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა.

პროგრამის სემესტრული გეგმა						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათების განაწილება	კრედიტი	სემესტრი შემ/გაზ	
სავალდებულო კომპონენტები (39 კრედიტი)						
სადოქტორო სემინარი 1	-	ხელმძღვანელი	ინდ.	6	x	
სადოქტორო სემინარი 2	სადოქტორო სემინარი 1	ხელმძღვანელი	ინდ.	6		x

კვლევის ეთიკა		თინათინ ჭინჭარაული	15	3	x	
კვლევის მოდელის შემუშავება		ნინო ჯავახიშვილი	15	3		x
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში	-	სოფიკო ლობჟანიძე	32	6	x	**x**
ასისტირება	კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდ.	15	**x**	x
სადოქტორო კოლოკვიუმები					**x**	**x**
სადისერტაციო ნაშრომი					**x**	**x**
სავალდებულო-არჩევითი კომპონენტები (3 კრედიტი)						
ექსპერიმენტული კვლევა		ნინო ჯავახიშვილი	15	3	x	X
კორელაციური კვლევა		ნინო ჯავახიშვილი	15	3	x	x
თვისებრივი კვლევა		ნინო სხირტლაძე	15	3	x	x
არჩევითი კომპონენტები - 18 კრედიტი						

Writing for Academic Publication		მაია როგავა	30	6	x	x
ასისტირება	კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში	ხელმძღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის/დისციპლინის პროფესორი, რომელიც ჩართულია სადოქტორო პროგრამაში	ინდ.	3	**x**	x
ექსპერიმენტული კვლევა		ნინო ჯავახიშვილი	15	3	x	x
კორელაციური კვლევა		ნინო ჯავახიშვილი	15	3	x	x
თვისებრივი კვლევა		ნინო სხირტლაძე	15	3	x	x
სტატისტიკური მოდელირება		მამუკა ნადარეიშვილი	30	6	x	x
თვისებრივი მონაცემების ანალიზის მეთოდები და მათი გამოყენება NVivo-ში		ანა კირვალიძე	32	6	x	x
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსები						

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ნინო ჯავახიშვილი	პროფესორი	nino.javakhishvili.3@iliauni.edu.ge
2	თინათინ ჭინჭარაული	პროფესორი	tinatin.chincharauli@iliauni.edu.ge
3	ქეთევან მაყაშვილი	პროფესორი	ketevan_makashvili@iliauni.edu.ge
4	ნატა მეფარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	nata.meparishvili@iliauni.edu.ge
5	მაია წერეთელი	ასოცირებული პროფესორი	maia.tsereteli@iliauni.edu.ge

6	რუსუდან მირცხულავა	ასოცირებული პროფესორი	rusudan.mirtskhulava@iliauni.edu.ge
7	რევაზ კორინთელი	პროფესორი	revaz_korinteli@iliauni.edu.ge
8	მალხაზ მაყაშვილი	პროფესორი	malkhaz_makashvili@iliauni.edu.ge
9	მაია ბიწაძე	ასოცირებული პროფესორი	maia.bitsadze@iliauni.edu.ge
10	მარინა გეგელაშვილი	ასოცირებული პროფესორი	marine.gegelashvili@iliauni.edu.ge
11	დარეჯან კახიანი	ასოცირებული პროფესორი	darejan_kakhiani@iliauni.edu.ge
12	დარეჯან ჯავახიშვილი	პროფესორი	darejan.javakhishvili.1@iliauni.edu.ge
13	ია შეყრილაძე	ასისტენტ პროფესორი	ia.shekriladze@iliauni.edu.ge
14	ნინო სხირტლაძე	ასისტენტ პროფესორი	nino.skhirtladze.2@iliauni.edu.ge
15	ანა მაყაშვილი	ასისტენტ პროფესორი	ana.makashvili@iliauni.edu.ge
16	ირინა ვარდანაშვილი	ასისტენტ პროფესორი	irina.vardanashvili@iliauni.edu.ge
17	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
18	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
19	მამუკა ნადარეიშვილი	პროფესორი	mamuka.nadareishvili@iliauni.edu.ge
20	ანა კირვალიძე	ასოცირებული პროფესორი	ana.kirvalidze@iliauni.edu.ge